**საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი**

**სამუშაო შეხვედრა**

**შეხვედრის ოქმი #1**

**ქ. თბილისი** **28.03.2024**

2024 წლის 28 მარტს, Zoom პლატფორმის გამოყენებით გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს მორიგი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები. შეხვედრა წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად (იხ. დანართი 1, დანართი 2).

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ლაშა მარგიშვილმა გახსნა და წარადგინა სხდომის დღის წესრიგი.

მან განმარტა, რომ ერთხელ კიდევ მოუწევთ შეხვედრა, ეს შეიძლება ზაფხული, ან ადრეული შემოდგომა იყოს, ENQA-ს საბოლოო დასკვნის მიღების შემდგომ, რათა ცენტრმა გაითვალისწინოს მასში გაწერილი რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საბჭოს წევრებთან ერთად ამ დოკუმენტის შინაარსობრივი განხილვა, თუ როგორ შეიძლება ამ დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება. საბჭოს წევრების რეკომენდაციები და მოსაზრებები ცენტრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული იქნება. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით ერთი შუალედური შეხვედრა დაიგეგმება.

გამომდინარე იქიდან, რომ საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე არ ესწრებოდა შეხვედრას ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს მოუწოდა აერჩიათ მიმდინარე შეხვედრის თავჯდომარე. საბჭოს წევრებმა თავმჯდომარეობის კანდიდატად თამარ თოლორაიას კანდიდატურა დააყენეს და ხმათა უმრავლესობით აირჩიეს. თამარ თოლორაია საბჭოს წევრებს მიესალმა და გახსნა სხდომა.

დღის წესრიგის შესაბამისად, თამარ თოლორაიამ სიტყვა დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსს ლაშა ზივზივაძეს გადასცა. მან ცენტრის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, სტრატეგიული მიზნების შესაბამისად წარადგინა. ისაუბრა ინსტიტუციურ განვითარებაზე, ინტერნაციონალიზაციაზე, სერვისების განვითარებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებებზე. აღნიშნა, რომ ანგარიშის სრული ვერსია საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ჰქონდათ გადაგზავნილი და დეტალურად შეძლებდნენ გაცნობას.

ლაშა ზივზივაძემ ისაუბრა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) ყოველწლიურ საერთაშორისო ფორუმზე და აღნიშნა რომ საქართველოში მასშტაბური ფორუმი ჩატარდა.

მან მიმოიხილა საგანმანათლებლო სერვისების მიმართულებაც და აღნიშნა, რომ შესწავლილია საერთაშორისო პრაქტიკა დისტანციური ფორმით მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში და ავტომატური აღიარების

შესახებ. აქცენტი გააკეთა იმაზე, თუ როგორ იზრდება მოთხოვნა გარე დაინტერესებული მხარეებისგან ცენტრის სხვადასხვა სერვისებზე.

საკითხის წარდგენის შემდეგ ლაშა ზივზივაძე გადავიდა დღის წესრიგის შესაბამისად გაწერილ საკითხზე.

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა ზივზივაძემ ბიზნეს პროცესების განახლებული ნუსხა წარადგინა, რომელიც ცენტრის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დანართია. მან აღნიშნა, რომ ცენტრმა მიიღო საკონსულტაციო მხარდაჭერა GEC საკონსულტაციო-კომპანიისგან და გადახედა მის ნუსხას. პროექტი ფინანსურად მხარდაჭერილი იყო USAID-ის მეირ. მან აღნიშნა, რომ ყველა სამსახურის წარმომადგენელი ჩართული იყო აღნიშნულ პროცესში, შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით ჩატარდა ტრენინგი, ასევე, ცენტრის თანამშრომლებს ყოველკვირეულად უტარდებოდათ ტრენინგები წარმოდგენილ დოკუმენტში 60 ბიზნეს პროცესია იდენტიფიცირებული, ჯამში სამი მიმართულებით, ესენია: პირველი მიმართულება - ძირითადი ბიზნეს პროცესები, რომლებიც 60-დან 43 ბიზნეს პროცესს შეადგენს, მეორეა - მმართველობითი მიმართულებით არსებული ბიზნეს პროცესები, რომლებიც საერთო რაოდენობიდან 8 ბიზნეს პროცესია, მესამე - მხარდამჭერი ბიზნეს პროცესები, რომლებიც საერთო რაოდენობიდან 9 ბიზნეს პროცესია. მან აღნიშნა, რომ გამოტანილ სლაიდზე აღნიშნულია 13 სტრუქტურული ერთეული, რომლებიც წარმოდგენილები არიან ბიზნეს პროცესებში, ყველა სტრუქტურული ერთეული სულ მცირე 1 ბიზნეს პროცესით მაინცაა წარმოდგენილი. მან საკოორდინაციო საბჭოს ასევე წარუდგინა ბიზნეს პროცესების განახლებული ნუსხა.

ასევე, დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა ზივზივაძემ ისაუბრა თემატური ანალიზის განხორციელების წესის პროექტის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს პროექტი შემუშავდა ცენტრის ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით, იქნება უნიფიცირებული და ყველა სამსახურზე ორიენტირებული. მან ყურადღება გაამახვილა, რომ ENQA-ს რეკომენდაციით, ძალიან მნიშვნელოვანია შიდა ხარისხის განხორციელების წესის პროექტი არსებობა და თემატური ანალიზები ცენტრისთვის უფრო სტრუქტურირებული სახით თუ იქნება წარმოდგენილი. მან აღნიშნა, რომ ცენტრი დაეყრდნო საერთაშორისო გამოცდილებას. ასევე, გასულ წელს პოლიტიკის დოკუმენტიც შემუშავდა, თემატური ანალიზი საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით , კერძოდ, ესტონეთის რესპუბლიკის ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის HAKA-ს გამოცდილებაზე დაყრდნობით და გაკეთდა შედარებითი ანალიზიც. მან აღნიშნა, რომ ამ კუთხით დასკვნებიც გაკეთდა, რომლებიც თემატური ანალიზის განხორციელების წესშია ასახული. ლაშა ზივზივაძემ აღნიშნა, რომ, თემატური ანალიზის შიდა რეგულაციის პროექტი ეფუძნება უმაღლესი განათლების ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG 2015) და Twinning-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ჩარჩო დოკუმენტს, თემატური ანალიზის განხორციელების პროცედურებისა და მეთოდოლოგიის შესახებ. მან ასევე ისაუბრა თემატური ანალიზის შიდა რეგულაციებზე და ვადებზე, ასევე თემატური ანალიზის ტიპებზე. მნიშვნელოვანია, აღნიშნულ პროცესში როგორ არიან დაინტერესებული მხარეები ჩართულები, როგორ იგეგმება მისი განხორციელება და თემატური ანალიზის შედეგების გამოყენება. ლაშა ზივზივაძემ ასევე ხაზი გაუსვა, რომ თემატური ანალიზის პროექტის განხილვის შემდეგ, სასურველია ეს ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდეს.

თამარ თოლორაიამ აღნიშნა, რომ იმ სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებაში, რაც ლაშა ზივზივაძემ ჩამოთვალა, ყველაზე მნიშვნელოვანია, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, რაც პირდაპირ ბმაშია თანამშრომელთა სისტემის შეფასების დახვეწასთან, იმიტომ რომ თანამშრომელი უნდა იყოს მოტივირებული და დაფასებული იმისთვის, რომ მომხმარებელი ჰყავდეს კმაყოფილი. ამასთანავე, საერთაშორისო პროგრამებში და პროექტებში მონაწილეობა და ასევე იყო მასპინძელი განათლების ხარისხის საზოგადოებისა, ნამდვილად იმის მანიშნებელია, რომ ცენტრის მიმართ საერთაშორისო საზოგადოებისგან იზრდება ნდობა და ალბათ ბიზნეს პროცესების ახალი ნუსხის წარდგენა კიდევ უფრო დეტალურად ახსნის იმ წარმატებული ნაბიჯების მიზეზებს. თამარ თოლორაიამ დამსწრეებს მიმართა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაესვათ შეკითხვები.

კითხვა-პასუხის ფორმატში, ირმა ქურდაძემ მადლობა გადაუხადა ლაშა ზივზივაძეს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში ძალიან დიდი შრომაა ჩადებული. როგორც მან აღნიშნა, საბჭოს მხრიდან ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო უფრო მეტი ანალიტიკურობა და ინიციატივები, და მას აინტერესებდა, თუ როგორ ხდება თვითშეფასების შევსება და რა კრიტერიუმებით ირჩევნია ექსპერტები. როგორც ცნობილია, სკოლებისა და სკოლამდელის ნაწილში, მართლაც, კოლოსალურად ბევრი თვითშეფასებაა წარმოდგენილი, ასევე ამ ეტაპზე 130 სკოლა გადის ავტორიზაციას. ადრე ამას სამინისტრო აკეთებდა, სამინისტროს ქოუჩთა კორპუსი, იქ დანაწევრებული იყო, მაგალითად კურიკულუმის ექსპერტი, ლიდერობის ექსპერტები, ახლა ამას აკეთებს ერთი ადამიანი. დაინტერესდა ვინ არიან ეს ადამიანები და აღნიშნა, რომ თავად ექსპერტებსაც აინტერესებთ, რა ნიშნის მიხედვით არჩევენ, ან რა მოეთხოვებათ, ქვეყნდება თუ არა კონკურსის პირობები, იგივე ბაღებთან და სკოლებთან დაკავშირებითაც. ასევე, მას აინტერესებდა კიდევ რა პროცედურები უნდა გაიაროს ბაღმა თუ სკოლამ, აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მიწოდებულია, მაგრამ სასურველია რომ ან დოკუმენტი შეიქმნას, ან უფრო მეტი გამჭვირვალობა იყოს და აღნიშნა, რომ ექსპერტებსაც აქვთ მსგავსი შეკითხვები.

ლაშა ზივზივაძემ აღნიშნა, რომ კითხვა ძალიან საინტერესო იყო და აუცილებლად მოინიშნავდა ამ კითხვას.

თამარ თოლორაიამ დამატებით კომენტარის სახით აღნიშნა, რომ სკოლამდელი განათლების მიმართულებით, მთელი პროცესი მხარდაჭერილია და ჩართულები არიან სფეროს ექსპერტები, უმაღლესი განათლების დაწესებულებები, სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველო და რა თქმა უნდა ხარისხის ცენტრი, ასევე, მსოფლიო ბანკის ინკლუზია/ინოვაციურობა და ხარისხის პროექტი მუშაობს ამ მიმართულებით. ყველას მიეწოდება ინფორმაცია, რომ ანალიზის შედეგად გულწრფელად შევსონ თვითშეფასების კითხვარი, ეს იქნება საფუძველი მომავალში კიდევ მეტი მხარდაჭერისა. მან აღნიშნა, რომ ეს ნამდვილად არ მოიაზრებს არანაირად შემოწმებას და მკაცრი ზომების გამოყენებას. რაც შეეხება იმ კრიტერიუმებს თუ რა პრინციპით ირჩევიან ექსპერტები, რა თქმა უნდა, პირი აუცილებლად უნდა იყოს გამოცდილი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. ირმა ქურდაძე დაინტერესდა კონკურსი თუ ცხადდება ამ მიმართულებით.

თამარ თოლორაიამ უპასუხა, რომ ამ მიმართულებით კონკურსი ცხადდება, აღნიშნა, რომ კომისიის წევრობის შესახებ ინფორმაცია არ არის კონფიდენციალური და თავადაცაა ამ კომისიის წევრი. არათუ ნახევარი საათი, საჭიროების შემთხვევაში მეტიც კი ეთმობა იმას, რომ ადამიანმა

ბოლომდე წარმოაჩინოს თავი და ის რაიმე უკმარისობის გრძნობით არ წავიდეს, იმიტომ რომ აღნიშნულ სფეროში ჯერ კიდევ არიან იმ გამოწვევის წინაშე, რომ აკლიათ პროფესიონალები. ცენტრმა დიდი ძალისხმევა და ენერგია ჩადო, რათა მოემზადებინა ეს საზოგადოება, მან აღნიშნა, რომ უკვე ჩანს შესაბამისი შედეგი. ეს იყო მეორე ეტაპი ექსპერტთა კორპუსთან გასაუბრებისა და აღნიშნა, რომ ისინი ხედავენ ძალიან დიდ ზრდას არა მარტო ინფორმაციული, არამედ შეძენილი კვალიფიკაციის თავლსაზრისით. მან აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია, ასევე, ცხელ ხაზზე შემოსული ზარებიდან და მათზე გაცემული პასუხები ცენტრიდან თუ სამმართველოდან.

ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ გასაგებია ექსპერტთა კორპუსის შერჩევა, ის დაინტერესდა ამ კონკურსს ჩვეულებრივად აცხადებენ, თუ რამე სხვა მექანიზმი არსებობს და ფორმდება ხელშეკრულება.

თამარ თოლორაიამ აღნიშნა, რომ ყველა საჯარო და კერძო დაწესებულება, რომლებიც დარეგისტრირებულია და რეგისტრაციისთვის ჰქონდათ პერიოდი, დაემატა კიდევ რამდენიმე თვე, განსაკუთრებით კერძო საბავშვო ბაღებისთვის, რომლებზეც ინფორმაცია და მონაცემები მანამდე არ ჰქონდათ, ყველა ის ბაღი თვითშეფასების კითხვარს შევსებულს აგზავნიან, რომლის ანალიზიც მიმდინარე პროცესშია. მან აღნიშნა რომ სულ 300 კერძო ბაღია.

ლაშა ზივზივაძემ კომენტარი გააკეთა ირმა ქურდაძის მიერ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა რომ ირმა ქურდაძემ ხაზი გაუსვა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და ზოგადი განათლების მიმართულებით არსებულ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ შეხვედრას არ ესწრებოდა ზოგადი განათლების მიმართულების წარმომადგენელი და ამასთან დაკავშირებით მას აუცილებლად მიაწვდიდა ინფორმაციას დამატებით.

ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ადრე სამინისტროს ქოუჩები იყვნენ და ახლა საინტერესოა ვისზეა დელეგირებული, ეს ექსპერტებსაც აინტერესებთ და აღნიშნა, რომ მათ დაპირდა რომ სხდომაზე იკითხავდა ამ მიმართულებით კონკურსი თუ ცხადდება. ასევე, დაინტერესდა რა ნიშნით და კრიტერიუმით ხდება მათი შერჩევა, იმიტომ რომ წელს სკოლების რაოდენობა ბევრი არაა, 130 სკოლაა. მან ასევე აღნიშნა, რომ ახლა სკოლებს ძალიან დიდი თავისუფლება მიეცათ და კიდევ უფრო გაიზარდა იმ ადამიანების როლი, ვინც ამას უწევს კურირებას.

თამარ თოლორაიამ პირველი სამი საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. სამივე საკითხს კენჭი უყარეს, წინააღმდეგი არავინ არ ყოფილა.

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგის შესაბამისად, შემდეგმა მომხსენებელმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია აკრედიტაციის დებულებაში ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით. როგორც მან აღნიშნა, 2020 წელს დაიწყო მუშაობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის შეფასების მოდელზე, დამტკიცდა და ამოქმედდა 2022 წლიდან და ცალკეული მიმართულების, თუ სწავლის სფეროს პროგრამების შეფასების კვალდაკვალ, მან

აღნიშნა, რომ ცენტრი ცდილობს ყველა ამ მიმართულებებით თემატური ანალიზის გაკეთებას და აქედან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას და პროცესების შესაბამისად დახვეწას. აქედან გამომდინარე, მიმდინარე წელს მომზადდა კონკრეტული ცვლილებები აკრედიტაციის დებულებაში. ცენტრის დებულების შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს წარედგინება ცვლილებები და მათი მოსაზრება, რჩევები, რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნება. როგორც მან აღნიშნა, ცვლილებების მიზანია გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იყოს მაქსიმალურად შინაარსიანი, მიზნობრივად გამართლებული საქმიანობა და ეს არ იყოს მხოლოდ რუტინა, რაც უბრალოდ ფორმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კეთდება. ნიკოლოზ ფარჯანაძემ ასევე აღნიშნა, რომ გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და აკრედიტაციის დებულების შესწავლის და ცენტრში მიმართვიანობის ანალიზის ფონზე გამოვლენილი საჭიროება, რომ გადასახედია უცხოური სააგენტოების მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების პროცესი. იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დადგა ამ გადახედვის საჭიროება, მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთმა დაწესებულებამ ცენტრს საერთაშორისო აკრედიტაციის აღიარების მიზნით მომართა, ეს აკრედიტაცია იყო ერთ-ერთი სახელოვანი სააგენტოს მიერ განხორციელებული. მიმდინარე აკრედიტაციის დებულების ფარგლებში არ არსებობდა შესაძლებლობა საერთაშორისო აკრედიტაციის აღიარების. მიმდინარე რედაქციით ცენტრსაც შეუძლია საერთაშორისო სააგენტოების მიერ გაცემული აკრედიტაციის აღიარება, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზეა განთავსებული, ENQA-ს წევრია და EQAR-შია რეგისტრირებული. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე საბჭოს სთავაზობს ამ ტიპის რედაქციას, რათა დაკონკრეტდეს, რადგან მაგალითად, დებულება არ იძლევა საშუალებას დიდი ბრიტანეთის ხარისხის სააგენტოს მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების პროცესის განხორციელების, რადგან დიდი ბრიტანეთი არაა ევროკავშირის წევრი. თუმცა, უმაღლესი განათლების ხარისხი მაღალ დონეზეა. აქედან გამომდინარე, ცვლილებები საშუალებას მისცემს ცენტრს მათ შორის დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოქმედი სააგენტოების მიერ გაცემული აკრედიტაციის აღიარების. ცვლილების მიზნით ასევე გადაიხედა პრაქტიკები. ENQA-ს წევრობის მიღმა შესაძლებელია მსჯელობა მის აფილირებულ წევრებზე, რაც ასევე მნიშვნელოვანი და ღირებული აქტივობაა უცხოური სააგენტოსთვის. ცვლილების თანახმად, სააგენტო უნდა იყოს პროფილური და ახორციელებდეს კონკრეტული სფეროს პროგრამების შეფასებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, მათ როგორც სააგენტოს, შესაძლებლობა ექნებათ, რომ ცნობილი საერთაშორისო სააგენტოების მიერ გაცემული აკრედიტაცია აღიარონ. ნიკოლოზმა ყურადღება გაამახვილა კონკრეტულ სააგენტოს MusicQuE, რომელიც მსოფლიო მასშტაბის სააგენტოა, თუმცა, აქვთ ENQA-ს აფილირებული წევრის სტატუსი.

ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოს მისი სამსახურის საქმიანობის შესახებ მუდმივად აყენებენ საქმის კურსში და დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურთან ერთად ახორციელებენ თემატურ ანალიზს. მიმდინარე ეტაპზე მომზადებულია სამწლიანი ანგარიშების თემატური ანალიზი. როგორც მან აღნიშნა, საკითხი შეეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებას, რომ სამ წელიწადში ერთხელ დაწესებულებებმა ცენტრში წარმოადგინონ თვითშეფასების ანგარიში ავტორიზაციის პროცესებთან ან კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. თემატურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს აქტივობა საკმაოდ შრომატევადია, რაც მოითხოვს ძალიან დიდ დროს, რესურსს და ენერგიას ორივე მხრიდან. რიგ შემთხვევაში გამოიკვეთა გადაფარვები, როდესაც ცალკეული პროგრამების შემთხვევაში ხორციელდებოდა მონიტორინგი და დაწესებულებას

მოკლე დროში ჰქონდა ვალდებულება, რომ წარმოედგინა სამწლიანი ანგარიში. აქედან გამომდინარე, გადაიხედა პრაქტიკა და საბოლოო სცენარი ჩამოყალიბდება და მომზადდება კონკრეტული გეგმა, რა შემთხვევაში მიეცემა დაწესებულებას უფლება, რომ ცენტრში აღარ წარმოადგინოს სამწლიანი ანგარიში. მან ასევე აღნიშნა, რომ იგეგმება გამონაკლისების გაფართოება. ცენტრის მიზანია შინაარსზე უფრო მეტი ორიენტირებულობა და არა უბრალოდ ფორმალური პროცედურების დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე, ცენტრი პრაქტიკულად ხედავს პროცესებს და გეგმავს პოლიტიკის სრულად გააზრებას და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ახალი სცენარის შეთავაზებას.

ამასთან, მან ასევე ისაუბრა კლასტერულ აკრედიტაციასთან დაკავშირებით. დაწესებულებებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერების ცენტრში წარმოდგენის ორი პერიოდი ეძლევათ, წელიწადში ორჯერ იხსნება ე.წ. ფანჯარა, 1 სექტემბრიდან - 1 დეკემბრის ჩათვლით და 1 იანვრიდან - 1 მაისის ჩათვლით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეძლევათ შესაძლებლობა ცენტრში წარმოადგინონ სააკრედიტაციო განაცხადები. მან აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებაში ზედმეტი მოქნილობაა დაშვებული. განიხილა ასეთი მაგალითი, თუ რომელიმე კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამას ვადა გასდის ივლისის დასაწყისში, ამ შემთხვევაში, თუ დაწესებულება 1 მაისს წარმოადგენს განაცხადს, ცენტრი მოკლებული იქნება შესაძლებლობას დაიცვას ადმინისტრაციული პროცედურები და ეს დადგენილია 180 დღიანი ვადის გამოყენების მეშვეობით განახორციელოს პროგრამის შეფასება და რიგ შემთხვევაში შეიძლება ერთთვიანი შუალედი გამოვიდეს, და ვერ მოხდეს პროგრამის შეფასება. აქედან გამომდინარე, მოხდა დაკონკრეტება, მაგალითად, თუ პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდის გაზაფხულზე ან ზაფხულზე, მაგ შემთხვევაში, თუ აკადემიური სემესტრით მოხდება ხელმძღვანელობა, წინა სემესტრში უნდა მოხდეს განაცხადის წარმოდგენა. თუ ივნისში გასდით ვადა, ეს განაცხადი უნდა წარმოადგინონ სექტემბრიდან - დეკემბრის ჩათვლით, რომ ადმინისტრაციული წარმოებისთვის იყოს გონივრული ვადა.

მან როგორც აღნიშნა, ENQA-ს ერთ-ერთი რეკომენდაციაა შეფასების პროცესში მეტი მოქნილობის შემოტანა. საკითხი განსაკუთრებით ეხება საერთაშორისო ექსპერტების შემთხვევაში დისტანციურად, ან ნახევრად დისტანციურად ჩართულობას. მან აღნიშნა, რომ იგეგმება შეფასების პროცესში ნახევრად დისტანციური მოდელის შემოტანა. რიგ შემთხვევაში საერთაშორისო ექსპერტს არ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ საქართველო ჩაერთოს შეფასების პროცესში, თუმცა, ასეთ შემთხვევაში ცენტრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შესთავაზებს სცენარს, როდესაც ადგილობრივი ექსპერტები ადგილზე ვიზიტით განახორციელებენ შეფასებას, ხოლო საერთაშორისო ექსპერტი ონლაინრეჟიმში ჩაერთვება ამ პროცესში. როგორც მან აღნიშნა, ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაგეგმილი ცვლილებაა.

მიმდინარე ეტაპზე, აკრედიტაციის პროცესში არსებობს სინქრონული თარგმანის ხარჯი და ბუნებრივია პროგრამის შეფასებას აქვს თავისი ადმინისტრაციული ხარჯი. ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ იგეგმება თარჯიმნის მომსახურების საფასური ცალკე გამოტანა და ცალკე სერვისად შეთავაზება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რაც გულისხმობს იმას,რომ კონკრეტული შეფასების წინ, უშუალოდ კონკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კონსულტაციის გზით განისაზღვრება თარგმნის საჭიროება. რიგ შემთხვევაში, ბევრ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კონკრეტულ პროგრამებთან მიმართებაში, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ

მხარეებს მოეთხოვებათ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაწესებულებამ გადაწყვიტოს, რომ არ სჭირდება სინქრონული თარგმანის მომსახურება და შესაბამისად, ამ მომსახურების ხარჯი ცალკე იქნება გატანილი, ეს ხარჯი ცალკე გაიწერება და დაწესებულება გადაწყვეტს, სჭირდება თუ არა ამ ხარჯის გაწერა.

ნიკოლოზ ფარჯანაძემ ასევე ისაუბრა დიპლომირებული მედიკოსის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დიპლომირებული მედიკოსის, საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში აკრედიტაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ანუ, კონკრეტული რესურსების შეფასების ფონზე აკრედიტაციის საბჭომ უნდა განსაზღვროს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. ცენტრმა დაიწყო საერთაშორისო აკრედიტაციის პრაქტიკა. მან აღნიშნა, რომ ცენტრს ჰქონდა ძალიან კარგი გამოცდილება, შეაფასა ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამი საგანმანათლებლო პროგრამა, ამ შემთხვევაში არ მოხდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე აღნიშნული ცვლილებაც უნდა შევიდეს. საერთაშორისო აკრედიტაციის განხორციელების დროს არ არის მთლად რელევანტური სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა, რადგან თუნდაც ერთი მყარი ლოგიკა ისაა, რომ ცენტრს არ მიეცემა შესაძლებლობა საზღვარგარეთ გადაამოწმოს ეს კონკრეტული პროცესი, თუ რამდენად იცავს ამ რეგულაციას დაწესებულება. შესაბამისად, ისინი არ შეეჭიდებიან ისეთ საკითხს რომლის დარეგულირების შესაძლებლობაც არ ექნებათ. ასევე, მან აღნიშნა, რომ აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილების აუცილებლობა, ნამდვილად დგას დღის წესრიგში.

კითხვა- პასუხის ფორმატში, თამარ თოლორაიამ აღნიშნა, რომ პრეზენტატორმა ძალიან საინტერესო ცვლილებების პაკეტი წარმოადგინა და საბჭოს წევრებს და დამსწრეებს მიმართა, ვინმეს რაიმე შეკითხვის დასმა ხომ არ უნდოდა. ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე შეკითხვა ჰქონდა. პირველი ეხებოდა სადოქტორო პროგრამებზე უცხოელი ექსპერტის არსებობას. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის სინქრონული თარგმნის თანხა საკმაოდ დიდი ხარჯია და ის დაინტერესდა იმით, რომ ის ვალდებულება უცხოელის ჩართვა, ინიციატივა იყო, თუ კანონში ცვლილება შევიდა. მიესალმებოდა დისტანციური ფორმით ჩართულობას, იმიტომ რომ ცოტა ხანში ონლაინ უნივერსიტეტი შეიქმნება, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს ცენტრს ძალიან კარგი გამოცდილება აქვს, პანდემიის დროსაც ჰქონდათ აკრედიტაციის პროცესები შეფერხების გარეშე. მან აღნიშნა, რომ ესეც ძალიან კარგი ინიციატივაა, აუცილებელია ყველა პროგრამაზე უცხოელი ექსპერტის თავმჯდომარეობა.

ნიკოლოზ ფარჯანაძემ უპასუხა, რომ იყო განსაზღვრული სადოქტორო საფეხურისთვის და რეგულირებადი პროფესიების შემთხვევაში საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობის ვალდებულება, თუმცა, 2023 წლის 1 იანვრიდან ეს ვალდებულება განისაზღვრა ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის. აქედან გამომდინარე, 2023 წლის 1 იანვრიდან აბსოლუტურად ყველა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ექსპერტი. გამონაკლისია ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, ვეტერინარიის სამოცკრედიტიანი პროგრამა, მასწავლებლის მომზადების სამოცკრედიტიანი პროგრამა. სხვა ყველა შემთხვევაში საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობის ვალდებულებაა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, თუ დაწესებულება თავად გადაწყვეტს, რომ სჭირდება თუ არა სინქრონული თარგმანის მომსახურება. ცენტრი დაწესებულებასთან წინასწარ დააზუსტებს აღნიშნულ საკითხს და გამოირიცხება ის სცენარი, რომ დაწესებულებამ ადგილზე მისვლის დროს

თავად განსაზღვროს პირი, რომელიც განახორციელებს თარგმანს. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას თარგმანის მომსახურება სჭირდება, ცენტრის მიერ განსაზღვრული თარჯიმანი გასცემს ამ მომსახურებას. სხვა შემთხვევაში მთლიანი კომუნიკაცია წარიმართება ინგლისურ ენაზე და თარგმანის განხორციელების შესაძლებლობა არ იქნება. თავის მხრივ, ცენტრი დაწესებულებას აძლევს სტრატეგიის არჩევის სრულ თავისუფლებას. როგორც მან აღნიშნა, ცენტრისთვის ინგლისური ენა არ არის თვითმიზანი, ინგლისური არის მარტივი გზა კულტურისა და საგანმანათლებლო სისტემის პოპულარიზაციის. აღნიშნული პროცესი არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან, რადგან საქმისწარმოების ენა ქართულია, დოკუმენტაცია ითარგმნება ქართულად და აქედან გამომდინარე კანონმდებლობის დარღვევის არანაირი წინაპირობა არ არსებობს.

თამარ თოლორაიამ ცვლილებების პაკეტი კენჭისყრაზე დააყენა. ცვლილებების პაკეტს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ქეთევან კობახიძემ წარადგინა ცენტრის დებულებაში ცვლილება. მან აღნიშნა, რომ ნებისმიერ იურიდიულ პირს, მათ შორის სსიპსაც გააჩნია საიდენტიფიკაციო რეკვიზიტები, როგორც ვერბალური, ასევე, სიმბოლური გამოსახულებები და ასეთია ლოგო. მან აღნიშნა, რომ ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ასევე ლოგო. ახალი ცვლილება ამ კანონმდებლობაში, კერძოდ, სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ კანონში, განსაზღვრავს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენებას. სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოების მხრიდან გამკაცრდა მოწესრიგება, მთელი რიგი ახალი რეგულაციები შევიდა, მათ შორის, ცენტრის ლოგოს გამოყენება შეიზღუდა გარკვეული კუთხით, ოფიციალურ დოკუმენტებზე მცირე სახელმწიფო გერბის გამოყენების ვალდებულება შემოვიდა და ლოგოს გამოყენება შეიზღუდა. მან აღნიშნა, რომ ყველა ოფიციალური დოკუმენტის ნიმუშები წარდგენილია დასამტკიცებლად. ახალი კანონი ლოგოს ნაცვლად იყენებს ჩანაწერ ემბლემას და როგორც აღნიშნა, ინიციატივაც სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ ყველა აქტში, რომელიც კანონქვემდებარე აქტში, სადაც მითითებაა ლოგოზე უნდა ჩასწორდეს უფრო ზემდგომი საკანონმდებლო აქტის მიერ გამოყენებული ტერმინით და ემბლემით. მან აღნიშნა რომ სულ ამას მოიცავს ამ ეტაპზე მათი ცვლილება. მითითებულ მუხლში, დებულებაში ტერმინი ლოგო, დებულების პირველი მუხლის მეხუთე პუნქტში ჩანაცვლდება ემბლემით.

დღის წესრიგის შესაბამისად, სვეტლანა ჯავახაძემ ისაუბრა შინაგანაწესში შესატანი ორი ცვლილების შესახებ. მისი თქმით, მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილებები სამსახურის მიღების დროს, ახალი თანამშრომლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხაში და ასევე თანამშრომლის განთავისუფლების შემთხვევაში გასაფორმებელ შემოვლის ბარათში. მან ისაუბრა სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ. ამ თვალსაზრისით შინაგანაწესში სიახლე შედის, ესაა ნარკოლოგიური შემოწმებისა და ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ ცნობები და ცნობა ნასამართლეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საჯარო სამსახური ამ ცნობებს ითხოვს, რაც შეეხება სსიპებს, სხვადასხვა პრაქტიკაა და პრაქტიკის შესწავლა მოხდა განათლების სისტემის სსიპებში. ამასობაში ცვლილებები შევიდა სტაჟირების შინაგანაწესში და იანვრიდან უკვე ცენტრში სტაჟიორების მსურველმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნული დოკუმენტი.

შესაბამისად, გადაწყდა, რომ რადგან სტაჟიორებისგან მოთხოვნილია აღნიშნული დოკუმენტები, ასევე, უნდა მოითხოვოს ცენტრმა ახალი თანამშრომლებისაგანაც.

მან ასევე ისაუბრა შემოვლის ბარათში შესატან ცვლილებაზე, თანამშრომელმა ცენტრიდან გათავისუფლებამდე, უნდა დაასრულოს ყველა ის ვალდებულება რაც მას ცენტრთან გააჩნია, მან უნდა დააბრუნოს ყველა ის ინვენტარი და ასევე კომპიუტერული ტექნიკა, რაც მას ჰქონდა მუშაობის პერიოდში, ამიტომ შემუშავდა და შინაგანაწესით დამტკიცდა ასეთი დანართი. აღნიშნულ დოკუმენტში ყველა სამსახურის უფროსი და თანამშრომელი თავისი ხელმოწერით ადასტურებენ, რომ თანამშრომელმა დაასრულა ის ყველა ვალდებულება რაც მას ცენტრის წინაშე ჰქონდა. აქ მათ ჰქონდათ შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა ამ სიაში ჩამატებული შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია ცენტრში ტექნიკის გადაცემაზე და შემოწმებაზე. ვიდრე აღნიშნული პირი მოაწერს ხელს, მან უნდა შეამოწმოს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობა.

თამარ თოლორაიამ საკითხები კენჭისყრაზე დააყენა.

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგის შესაბამისად, მაია კალანდაძემ საკოორდინაციო საბჭოს ფინანსური ანალიზის დოკუმენტი წარუდგინა. საკოორდინაციო საბჭოს წინა სხდომაზე რუსუდან სანაძემ ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურს მიმართა თხოვნით, წარედგინათ ინფორმაცია, თუ რამდენად სტაბილურია ცენტრის ფინანსური მდგომარეობა. მაია კალანდაძემ გააზიარა დოკუმენტი, სადაც ყველაფერი დეტალურადაა ასახული. მათ შორის, ცენტრის შემოსავლები, როგორც საბიუჯეტო, ასევე, ნებადართული საკუთარი შემოსავლების ჭრილში, ასევე, ხარჯები ძირითადი მუხლების შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ ძირითად მუხლში ასევე შეეცადნენ ჩაეშალათ ოფისის ხარჯი, სადაც ყველაზე მსხვილი ხარჯებია ნაჩვენები. დოკუმენტი მოიცავს 2021 წლიდან - 2023 წლამდე ფაქტებს, ხოლო 2024 წელი წარმოდგენილია გეგმის სახით. სტაბილურობასთან დაკავშირებით მზარდია შემოსავლები, ცენტრის შემოსავალი წლიდან-წლამდე გაზრდილია და ეს სტაბილურობაზე დადებითად აისახება.

თამარ თოლორაიამ იკითხა, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შეკითხვა ხომ არ ჰქონდათ აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით.

მაია კალანდაძემ როგოც აღნიშნა, ეს დოკუმენტი საბჭოს წევრმა დაანიცირა და შესაძლოა მას ჰქონოდა რაიმე შეკითხვა. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯებიც გაზრდილია, როგორც საკუთარი შემოსავლები. როდესაც კანონმდებლობით დაევალება ცენტრს ხალი რეგულაციების გამოყენება, ან ახალი წარმოებების დაწყება, ამისთვის საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოიყოფა თანხები და ეს იწვევს ბიუჯეტის ზრდასაც სახელმწიფო ასიგნებების ჭრილში. როგორც მაია კალანდაძემ აღნიშნა სხვა მხრივ, რასაც ჭერს ეძახიან, ცენტრისთვის ყოველწლიურად ერთი და იგივე თანხის გამოყოფას, ის მზარდი არაა, პირიქით შედარებით მცირდება დაახლოებით 90 - 100, 000- ლარის ფარგლებში, თუმცა, ზრდა განაპირობებს ხოლმე 10% შრომით შტატზე დასაქმებული თანამშრომლების ზრდას, რომლებსაც, სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს მხოლოდ შტატზე დასაქმებული თანამშრომლებისთვის, ისიც მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებების ჭრილში, რაც

არსებით გავლენას არ ახდენს ბიუჯეტზე. ძირითადად ის ზრდა, რაც ჩვენი შტატგარეშე თანამშრომლებისთვის ხორციელდება, ცენტრი ახორციელებს საკუთარი შემოსავლებით. მან აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი თანხები შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებები და მივლინების ხარჯებია, იმიტომ რომ წარმოების ფარგლებში ქვეყნის შიგნით ბევრ ექსპერტს უწევს მივლინებაში წასვლა და ყველაზე დიდი ხარჯები დაკავშირებულია ამ ორ მუხლთან. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადი 10 %, რა თანხაც შემოდის, ყოველი კვარტლის ბოლოს ცენტრს აქვს ვალდებულება არანაკლებ 10% გადაუხადოს ბიუჯეტს. როგორც მან აღნიშნა, გეგმა რაცაა წლიური 16 000 000 საბიუჯეტო სახსრებშიც და საკუთარიც, საკუთარი 11,000,000 და შარშან 9,467,000 იყო. ზრდა აქაც დაგეგმილია და იმედი გამოთქვა, რომ შეიძლება მეტიც იყოს.

თამარ თოლორაიამ იკითხა, აღნიშნულთან დაკავშირებით ვინმეს ხომ არ უნდოდა აზრის გამოთქმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებები არის იმის ინდიკატორი, რომ ვითარდება სფერო და ინსტიტუცია.

ლაშა ზივზივაძემ შეაჯამა აღნიშნული შეხვედრა და მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრეს და საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, აღნიშნა რომ ყველა საკითხი, რაც კენჭისყრაზე დადგა მიღებულია და ირმა ქურდაძის შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას ამ საკითხებთან დაკავშირებით დამატებით მიეწოდება ინფორმაცია. ლაშა ზივზივაძემ აღნიშნა რომ ეს იყო 2024 წლის პირველი სხდომა, მეორე რიგითი სხდომა დაგეგმილია დეკემბერში, თუმცა, შუალედური შეხვედრის ჩატარება სავარაუდოდ საჭირო გახდება.

**საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე:**

**თამარ თოლორაია**

**საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მდივანი:**

**თათია უბერი**

**დანართი 1:**

| **სახელი, გვარი** | **პოზიცია** |
|---|---|
| კაი ეტზოლდი | უმაღლესი განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტი |
| ნათია ჯოჯუა | შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი. |
| თამარ თოლორაია | სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსი |
| შალვა მეკრავიშვილი | სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ რუსთავის მე-2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი |
| რუსუდან რუხაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი |
| ზაზა ფურცელაძე | ბრიტანეთის საბჭოს საქართველოს ოფისის დირექტორი, აღმოსავლეთ პარტნიორობის მისიის ხელმძღვანელი; |
| თათია უბერი | საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი |
| ირმა ქურდაძე | სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი |

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ონლაინ სამუშაო შეხვედრა

Working Meeting of the Coordination Council of the LEPL - National Center for Educational Quality Enhancement

**შეხვედრის ბმული/meeting link:**

https://us02web.zoom.us/j/84868180973?pwd=SlhpWUlOVFNURk5SVUEvL0FrZ21KUT09
Meeting ID: 848 6818 0973
Passcode: 121988

**15:00-17:00 საათი, 28 მარტი, 2024 წელი**
**15:00-17:00 March 28, 2024**

**დღის წესრიგი / Agenda**

| დრო/Time | განსახილველი საკითხი / Discussion topic | მომხსენებელი/ Presenter | პოზიცია, ორგანიზაცია / Position, Organization |
|---|---|---|---|
| 15:00 - 15:15 | მისალმება<br><br>Introduction | ლაშა მარგიშვილი<br>Lasha Margishvili<br><br>კახაბერ ერაძე<br>Kakhaber Eradze | დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br>Acting Director, National Center for Educational Quality Enhancement<br><br>დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br>Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement |

| | | | |
|---|---|---|---|
| 15:15 – 15:30 | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა<br><br>Introduction of the Annual Report 2023- LEPL - National Center for Educational Quality Enhancement | ლაშა ზივზივაძე<br><br>Lasha Zivzivadze | დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br><br>Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, National Center for Educational Quality Enhancement |
| 15:30 - 15:40 | ბიზნეს პროცესების ახალი ნუსხის წარდგენა<br><br>Introduction of the Updated List Of Business Processes | ლაშა ზივზივაძე<br><br>Lasha Zivzivadze | დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br><br>Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, National Center for Educational Quality Enhancement |
| 15:40 – 15:50 | ცენტრის თემატური ანალიზის განხორციელების წესის პროექტის წარდგენა<br><br>Introduction of the Internal Regulation Porject of the Center's Thematic Analysis | ლაშა ზივზივაძე<br><br>Lasha Zivzivadze | დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br><br>Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, National Center for Educational Quality Enhancement |
| 15:50- 15:55 | კითხვა-პასუხი/ Questions and Answers | | |
| 15:55 – 16:10 | აკრედიტაციის დებულებაში შესატანი ცვლილებების წარდგენა | ნიკოლოზ ფარჯანაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | Introducation of the Amendments to the Accreditation Regulations | Nikoloz Parjanadze | Head of HE Quality Assurance Department, National Center for Educational Quality Enhancement |
| 16:10 - 16:15 | კითხვა-პასუხი/ Questions and Answers | | |
| 16:15 - 16:25 | ცენტრის დებულებაში დაგეგმილი ცვლილებების წარდგენა<br><br>Introduction of the Amandments to the Statute of the Center | ქეთევან კობახიძე<br><br>Ketevan Kobakhidze | იურიდიული სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br><br>Head of Legal Department, National Center for Educational Quality Enhancement |
| 16:25 - 16:35 | ცენტრის შინაგანაწესში დაგეგმილი ცვლილებების წარდგენა<br><br>Introduction of the Amendments to the Charter of the Center | სვეტლანა ჯავახაძე<br><br>Svetlana Javakhadze | ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br><br>HR Management and Documentation Department, National Center for Educational Quality Enhancement |
| 16:35 - 16:40 | კითხვა-პასუხი/Questions and Answers | | |
| 16:40 - 16:50 | ცენტრის ფინანსური ანალიზის დოკუმენტის წარდგენა<br><br>Introduction of the Financial Analysis Document of the Center | მაია კალანდაძე<br><br>Maia Kalandadze | ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br><br>Head of Financial Department, National Center for Educational Quality Enhancement |
| 16:50 – 16:55 | კითხვა-პასუხი/ Questions and Answers | | |
| 16:55 - 17:00 | სამუშაო შეხვედრის შეჯამება / Wrap Up | | |